დამტკიცებულია სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის
2019 წლის 28 ნოემბრის N 68 „ო“ ბრძანებით

ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდა მხარდამჭერი გუნდის

შექმნისა და მასში მონაწილე პირების საქმიანობის წესი

შეტანილია ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 17 დეკემბრის N 95 „ო“ ბრძანებით

მუხლი1. ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდა მხარდამჭერი გუნდი - ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდამხარდამჭერი გუნდი-საგანმანათლებლო დაწესებულებაში დროებით შექმნილი სამუშაო გუნდი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ პროფესიული სტუდენტის/სტუდენტების სასწავლო პროცესის მხარდაჭერას, სსსმ პროფესიული სტუდენტის/სტუდენტების საჭიროებების შესაბამისად და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით.

მუხლი 2. წინამდებარე წესი განსაზღვრავს ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდა მხარდამჭერი გუნდის შექმნის, დაკომპლექტებისა და უფლებამოსილების წესსა და პირობებს.

მუხლი 3.ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდა მხარდამჭერი გუნდის შექმნის საჭიროება დგება მაშინ, როდესაც დაწესებულებაში ირიცხება/ირიცხებიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი/სტუდენტები.

მუხლი 4.ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდა მხარდამჭერი გუნდი კომპლექტდება: ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტის (არსებობის შემთხვევაში) ,საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლის, კარიერის დაგეგმვის მენეჯერისა და იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი პროფესიული მასწავლებლებისაგან, რომელზეც ირიცხება/ირიცხებიან სსსმ პროფესიული სტუდენტი/სტუდენტები.

მუხლი 5.ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდა მხარდამჭერი გუნდი უფლებამოსილია:

5.1. ქვეპუნქტი: *ამოღებულია*

5.2. „მიიღოს გადაწყვეტილებები თავად სსსმ პროფესიულ სტუდენტთან ან/და კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით (არასრულწლოვანი ან/და მეურვეობის ქვეშ მყოფი სსსმ პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში) სსსმ პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური

სასწავლო გეგმის/გეგმების შემუშავებისა და საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პროფესიული სტუდენტის, დამატებითი მხარდამჭერი მომსახურეობის შესახებ“.

5.3. „სსსმ პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესის მიმდინარეობას აქტიურად დააკვირდეს.“

5.4 საჭიროების შემთხვევაში, განსახილველი თემატიკიდან გამომდინარე, სამუშაო შეხვედრაზე მოიწვიოს: ა) იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლები, რომელზეც ირიცხება/ირიცხებიან სსსმ პროფესიული სტუდენტი/სტუდენტები. ბ)თავად სსსმ პროფესიული სტუდენტი ან/და მისი კანონიერი წარმომადგენელი (არასწრულწლოვანი ან/და მეურვეობის ქვეშ მყოფი სსსმ პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში) გ)საგანმანათლებლო დაწესებულების, სხვა, ნებისმიერი თანამშრომელი.

მუხლი 6. იმ შემთხვევაში, როდესაც ინკლუზიური განათლების შიდა მხარდამჭერი გუნდის წევრებს შორის არის შეუთანხმებლობა, საკითხის გადაწყვეტისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს კენჭისყრა. კენჭისყრაზე დაყენებული საკითხი მიღებულად ჩაითვლება, როდესაც საკითხს მხარს დაუჭერს, ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდა მხარდამჭერი გუნდის შეხვედრაზე მყოფი, დამსწრე პირთა უმრავლესობა.

მუხლი 7.ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდა მხარდამჭერი გუნდი სასწავლო პროცესის განმავლობაში შეიკრიბება საჭიროებისამებრ , მაგრამ სასწავლო პროგრამის მიმდინარეობის პერიოდში არანაკლებ 4-ჯერ.

მუხლი 8.ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდა მხარდამჭერ გუნდს ყავს საკონტაქტო პირი და ხელმძღვანელი - ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, რომელიც პასუხისმგებელია ინკლუზიური განათლების შიდა მხარდამჭერი გუნდის შეხვედრებს გაუწიოს ორგანიზება.

მუხლი 9. სსსმ პროფესიული სტუდენტი ან/და კანონიერი წარმომადგენელი (არასრულწლოვანი ან/და მეურვეობის ქვეშ მყოფი სსსმ პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში) უფლებამოსილია აქტიური მონაწილეობა მიიღოს სსსმ პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

მუხლი 10. სსსმ პროფესიულ სტუდენტს და/ან მის კანონიერ წარმომადგენელს (არასრულწლოვანი ან/და მეურვეობის ქვეშ მყოფი სსსმ პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში) აქვს უფლება, მოითხოვოს ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდა მხარდამჭერი გუნდის შეხვედრის ოქმების ასლები.

მუხლი 11. ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდა მხარდამჭერი გუნდის შეხვედრები ფორმდება ოქმის სახით და ინახება პროფესიულ სასწავლებელში საქმისმწარმოებელთან სარეგისტრაციო წიგნში.

მუხლი 12. *ამოღებულია*